სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი **ხელშეკრულება N 01** 14 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ დავითაიას სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „Orient Logic“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალან სანაკოევის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- ლარი. საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ანტივირუსი ,,კასპერსკი” - ინტერნეტიდან ვირუსის შემოტევის დასაცავად სამონტაჟო კომპიუტერისთვის - (CPV 48761000);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 80 (ოთხმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - ს.ს.ი.პ „აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის“ სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი: დირექტორის მოადგილე გიორგი მიქავა, IT სპეციალისტი გიორგი ფაცაცია, ბუღალტერი ლილი კილაბერია, ოპერატორი ნუკრი შონია.

4.2 შემსყიდველი საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელებს საქონლის შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მიწოდებულ საქონელს შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები ან შემოწმებული საქონელი ვერ დააკმაყოფილებს შესაბამის ტექნიკურ მონაცემებს, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

4.3 მიწოდებული საქონლის ტექნიკური შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი წუნდებული (ზედაპირული ნაკაწრები, ლაქები) საქონლის შეცვლა.

4.4 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება შემსყიდველის ფაქტიურ მისამართზე, მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

5. შეფუთვა

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანებისაგან დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირების პროცესში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდეს არაუმეტეს 10(ათი) დღის ვადაში.

6.2 საქონლის მიწოდებას - ქ. თბილისში, მიხეილ თამარაშვილის ქ.№ 15ა -ში უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან).

6.3 შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

6.4 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.5. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).
6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი მიქავა.
6.7 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7. ანგარიშსწორება

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში *(წინასწარი, საავანსო გადახდა არ გამოიყენება).*
7.3 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი.*

8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა), ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა ურთიერთობა

10.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო თანხის ან/და შეუსრულებელი ვალდებულების - 3 % ოდენობით, რომლის გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის - 0.1 %-ს.
11.3 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.
11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული საქონლის ხარისხი არ დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონლის შესაცვლელად დამატებით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება

წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

12.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. დამატებითი პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, თუ ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

14.3. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი "

ს.ს.ი.პ. „აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი"

ს/კ: 205 310 983
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №42 (იურიდიული მისამართი)
მიხეილ თამარაშვილის ქუჩა № 15ა (ფაქტიური მისამართი)

სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22

ცენტრის დირექტორი
/ ავთანდილ ბაგრთაია /

„მიმწოდებელი "

შ.პ.ს. „Orient Logic"

ს.კ. 202052054
მისამართი: ქ. თბილისი, ა.ბელიაშვილის ქ. № 8

ს/ს საქართველოს ბანკი

ანგარიშის N GE77BG0000000341026301

ბანკის კოდი: BAGAGE22

კომერციული დირექტორი
/ ალან ხანაკოევი /

Orient Logic

Tel: 995 32 30 0616
Fax: 995 32 527173

Visit us at: www.orient-logic.com or www.orient-logic.ge; H. Heliashvili str., Tbilisi, Georgia

Preferred Partner GOLD

hp APC by Schneider Electric DELL symantec. Endpoint Management

ბანკო რეკვიზიტები:

ლარი

GAGE22 სს "საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი ა/ა
77BG0000000341026301

ASGE22 სს "ბაზისბანკი" ა/ა GE96BS0000000005936872

PLGE22 სს ბანკ რესპუბლიკა ა/ა GE77BR0000010111525510

EBGE22 სს ვითიბი ბანკი ჯორჯია (ცენტრალური ფილიალი) ა/ა
93VT6600000331553602

L

MGE22 სს "კაპიტალ ბანკი" ა/ა GE05IN0000036020100040

CBGE22 სს "თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ა/ა GE54TB0600000010467147

ამკვეთი: 205310983 სსიპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი"

ანგარიში № 140116/0002 14/01/2016

	დასახელება	ზომ. ერთ.	რა-ბა	ფასი	თანხა	დღგ	სულ
1	ბარათი KL1941LUBFR Kaspersky Internet Security Multi -Device STAN and Caucasus Edition. 2-Device 1year Renewal Retail Pack (განახლების ბარათი)	ცალი	1	1.69	1.69	0.31	
2	ლიცენზია KL1941LUBFR Kaspersky Internet Security Multi-Device STAN and Caucasus Edition. 2-Device 1year Renewal Retail Pack	ცალი	1	66.10	66.10	11.90	
					67.79	12.21	

სულ დღგ-ს ჩათვლით: ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი

ძენიშვნა ! ანგარიში ძალაშია საში საშუშაო დღე გაძონერის ძოძენტიდან.
აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში ანგარიში ჩაითვლება გაუქმებულად.

გაყიდვების მენეჯერი:

მერგელაშვილი მალხაზ

ORIENT LOGIC Ltd
GEORGIA, TBILISI
RN 202052054